



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ28. 28241936

თარიღი:11/07/2024

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ „გ.გ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის 5-ე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადახაზილების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 იანვრის N5 დადგენილების მე- 3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად და მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ავთანდილ ურიადმყოფელის 2024 წლის 11 ივლისის N 05-282419311 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი სახით ცვლილებები და ასახულ იქნა **თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში:**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (ტრანსფერი გაიზარდოს 700.0 ათასი ლარით) განისაზღვროს 28356.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს 31769.7 ათასი ლარის ოდენობით.
3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ასიგნება (პროგრამული კოდი 02 01) გაიზარდოს 670.0 ათასი ლარით და განისაზღვროს 6652.6 ათასი ლარის ოდენობით.
4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, კომუნალური მეურნეობის განვითარების ასიგნება (პროგრამული კოდი 02 04) გაიზარდოს 30.0 ათასი ლარით და განისაზღვროს 2253.9 ათასი ლარის ოდენობით.
5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს დანართ N 1 შესაბამისად.

მუხლი 2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ავთანდილ ურიადმყოფელს.

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7)კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/



თავი I. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	28 608,8	29 710,9	21 125,4	8 585,5	28 356,0	18 542,0	9 814,0
გადასახადები	13 932,5	15 561,2	15 561,2	-	16 637,9	16 637,9	-
გრანტები	13 715,5	12 580,5	3 995,0	8 585,5	9 814,0	-	9 814,0
სხვა შემოსავლები	960,8	1 569,2	1 569,2	-	1 904,1	1 904,1	-
II. ხარჯები	16 409,7	20 517,4	17 852,1	2 665,3	21 235,3	18 564,7	2 670,6
შრომის ანაზღაურება	2 915,1	3 279,3	3 093,0	186,3	3 360,0	3 360,0	-
საქონელი და მომსახურება	2 941,2	3 786,0	2 162,7	1 623,3	4 243,4	2 444,8	1 798,6
პროცენტი	28,7	21,2	21,2	-	37,0	37,0	-
სუბსიდიები	8 551,0	10 817,2	10 671,0	146,2	11 400,0	11 138,0	262,0
გრანტები	16,3	21,1	21,1	-	30,0	30,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	998,1	1 162,6	1 148,7	13,9	1 277,0	1 247,0	30,0
სხვა ხარჯები	959,3	1 430,0	734,4	695,6	887,9	307,9	580,0
III. საოპერაციო საღდო	12 199,1	9 193,5	3 273,3	5 920,2	7 120,7	- 22,7	7 143,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10 106,5	9 985,7	1 759,2	8 226,5	9 926,4	2 255,8	7 670,6
ზრდა	10 415,3	10 376,0	2 149,5	8 226,5	10 476,4	2 805,8	7 670,6
კლება	308,8	390,3	390,3	-	550,0	550,0	-
V. მთლიანი საღდო	2 092,6	- 792,2	1 514,1	- 2 306,3	- 2 805,7	- 2 278,5	- 527,2
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	2 034,6	- 850,2	1 456,1	- 2 306,3	- 2 863,7	- 2 336,5	- 527,2
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-

შემოსულობები	28 917,6	30 101,2	21 515,7	8 585,5	28 906,0	19 092,0	9 814,0
შემოსავლები	28 608,8	29 710,9	21 125,4	8 585,5	28 356,0	18 542,0	9 814,0
არაფინანსური აქტივების კლება	308,8	390,3	390,3		550,0	550,0	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების ზრდა	-	-			-		
გადასახდელები	26 883,0	30 951,4	20 059,6	10 891,8	31 769,7	21 428,5	10 341,2
ხარჯები	16 409,7	20 517,4	17 852,1	2 665,3	21 235,3	18 564,7	2 670,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 415,3	10 376,0	2 149,5	8 226,5	10 476,4	2 805,8	7 670,6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
ნაშთის ცვლილება	2 034,6	- 850,2	1 456,1	- 2 306,3	- 2 863,7	- 2 336,5	- 527,2

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 28356.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი		2023 წლის ფაქტი		2024 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	28 608,8	29 710,9	21 125,4	8 585,5	28 356,0	18 542,0	9 814,0
გადასახადები	13 932,5	15 561,2	15 561,2	-	16 637,9	16 637,9	
გრანტები	13 715,5	12 580,5	3 995,0	8 585,5	9 814,0	-	9 814,0
სხვა შემოსავლები	960,8	1 569,2	1 569,2		1 904,1	1 904,1	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 16637.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------

	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	13 932,5	15 561,2	15 561,2	-	16 637,9	16 637,9	-
სამემოსავლო გადასახადი	-	-			-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	11 470,0	12 908,0	12 908,0		14 037,9	14 037,9	
ქონების გადასახადი	2 462,5	2 653,2	2 653,2	-	2 600,0	2 600,0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 908,6	2 071,1	2 071,1		2 138,0	2 138,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	65,7	69,9	69,9		-		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	29,5	42,2	42,2		40,0	40,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	96,2	105,7	105,7		87,0	87,0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	362,5	364,3	364,3		335,0	335,0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 9814.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
გრანტები	13 715,5	12 580,5	9 814,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13 715,5	12 580,5	9 814,0
სპეციალური ტრანსფერი (ფინანსური დახმარება)	600,0	3 500,0	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1 301,6	1 874,6	1 901,8
კაპიტალური ტრანსფერი	11 813,9	7 205,9	6 807,2
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	10 282,6	4 854,2	6 117,2
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	96,3	196,7	

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	690,0	690,0	690,0
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	745,0	1 465,0	1 105,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	545,0	970,0	1 105,0
სხვა კაპიტალური ტრანსფერი	200,0	495,0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1904.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	960,8	1 569,2	1 904,1
შემოსავლები საკუთრებიდან	537,6	506,7	550,0
პროცენტი	157,0	89,2	150,0
რენტა	380,6	417,5	400,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142,7	158,4	269,1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	127,9	145,8	255,0
სანებართვო მოსაკრებელი	12,3	26,9	25,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,6	2,8	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	115,0	116,1	230,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	14,8	12,6	14,1
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	171,9	879,1	1 070,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	108,6	25,0	15,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 21235.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი		2024 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	

		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	16 409,7	20 517,4	17 852,1	2 665,3	21 235,3	18 564,7	2 670,6
შრომის ანაზღაურება	2 915,1	3 279,3	3 093,0	186,3	3 360,0	3 360,0	-
საქონელი და მომსახურება	2 941,2	3 786,0	2 162,7	1 623,3	4 243,4	2 444,8	1 798,6
პროცენტები	28,7	21,2	21,2	-	37,0	37,0	-
სუბსიდიები	8 551,0	10 817,2	10 671,0	146,2	11 400,0	11 138,0	262,0
გრანტი	16,3	21,1	21,1	-	30,0	30,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	998,1	1 162,6	1 148,7	13,9	1 277,0	1 247,0	30,0
სხვა ხარჯები	959,3	1 430,0	734,4	695,6	887,9	307,9	580,0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 9926,4 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 10496,4 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 550.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ- კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	233,9	214,5	60,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	233,9	214,5	60,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 177,0	8 320,1	9 137,3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4 972,2	3 444,5	6 342,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 227,5	1 529,0	223,4
02 03	გარე განათება	9,8	4,8	20,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 015,4	2 358,3	1 479,1
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	650,5	703,7	730,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	301,6	279,8	342,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	164,1	121,9	402,5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	164,1	121,9	402,5
04 00	განათლება	1 829,7	1 631,7	317,5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	25,2	270,8	306,0

04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 795,5	1 197,4	10,0
04 03	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	-	156,7	-
04 04	სკოლისგარეშე განათლება	9,0	6,8	1,5
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	10,6	84,0	57,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	6,1	49,6	10,4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4,5	34,4	46,6
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	3,8	502,1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	3,8	6,0
06 02	სოციალური პროგრამები	-	-	496,1
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	10 415,3	10 376,0	10 476,4

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	308,8	390,3	550,0
ბირთადაი აქტივები	99,8	186,3	250,0
არაწარმოებული აქტივები	209,0	204,0	300,0
მიწა	209,0	204,0	300,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 201,9	4 575,6	5 096,0
7.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 115,2	4 496,4	5 001,0
7.1.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 115,2	4 496,4	4 890,0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	111,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	86,7	79,2	95,0

7.2	თავდაცვა	161,6	201,0	-
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	161,6	201,0	-
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5 287,1	3 855,0	6 652,6
7.4.5	ტრანსპორტი	5 287,1	3 855,0	6 652,6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 287,1	3 855,0	6 652,6
7.5	გარემოს დაცვა	2 946,5	3 629,3	3 660,0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2 946,5	3 629,3	3 660,0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4 058,1	6 386,3	4 387,3
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 171,0	3 123,2	2 253,9
7.6.3	წყალმომარაგება	1 420,1	1 737,7	523,4
7.6.4	გარე განათება	450,4	464,4	470,0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 016,6	1 061,0	1 140,0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	127,5	157,5	269,0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	127,5	157,5	268,0
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	1,0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 924,9	2 364,8	2 590,0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	603,7	823,2	940,0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 053,8	1 344,1	1 445,0
7.8.3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	55,0	68,0	75,0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	212,4	129,5	130,0
7.9	განათლება	6 819,5	8 137,8	7 338,8
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	5 348,2	6 071,6	5 355,0
7.9.2	ზოგადი განათლება	1 471,3	2 066,2	1 983,8
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	1 471,3	2 066,2	1 983,8
7.10	სოციალური დაცვა	1 355,9	1 644,1	1 776,0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 355,9	1 644,1	1 776,0
	სულ	26 883,0	30 951,4	31 769,7

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 7120,7 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -2805.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	12 199,1	9 193,5	7 120,7
მთლიანი სალდო	2 092,6	- 792,2	- 2 805,7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 2863.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	2 034,6	- 850,2	- 2 863,7
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	- 2 034,6	850,2	2 863,7
ვალუტა და დეპოზიტი	- 2 034,6	850,2	2 863,7

ფინანსური აქტივების ზრდა განსაზღვრულია 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების კლება 2863.7 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს 2024 წლის პირველი იანვრისათვის მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ ნაშთს (ადგილობრივი შემოსავლები 2336.7 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 527.2 ათას ლარს). აქედან: გასანაწილებელი ნაშთია 2240.0 ათასი ლარი. გასანაწილებელი ნაშთიდან (2240.0 ათასი ლარი) 2000.0 ათასი ლარი არის 2024 წლის დეფიციტის თანხა, რომელიც წინასწარ იქნა მიღებული 2023 წლის 25 დეკემბრის N2324 განკარგულებით) და მიმდინარე ვალდებულებებია 623.9 ათასი ლარი, რომლის გამოყენებაც მოხდება 2024 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - 58.0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016 წელს მიღებული სესხის დაფარვას. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასესხო

ვალდებულებები ჯამში შეადგენს 113.0 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 55.0 ათასი ლარი.

თავი II. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 11039.9 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11039.9
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	6652,6
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	523,4
02 03	გარე განათება	470.0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2253,9
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	780.0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	360.0

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ: მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო-ფენილის გზების დაგება, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

1.1 გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 01)

აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაგებას;

სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება: სოფ. ჭალასთავთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 191,7 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაცია 99,1 ათასი ლარით. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის მოწყობა 291,9 ათასი ლარით. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა / რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში გზის რეაბილიტაცია 400,0 ათასი ლარით. სოფ. ზედა სიმონეთში აბუანდაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 298,0 ათასი ლარით. სოფ. ჩხარში სკოლასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 332,7 ათასი ლარით. სოფ. ბარდუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 298,4 ათასი ლარით. სოფ. ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 296,7 ათასი ლარით. სოფ. კვანჭირი-ოდლაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 300,0 ათასი ლარით. სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 299,7 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია 246,8 ათასი ლარით. სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 298,4 ათასი ლარით. სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 298,4 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში ჯაბიძის მეორე შესახვევში გზის რეაბილიტაცია 239,6 ათასი ლარით. სოფ. საზანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 328,7 ათასი ლარით და სოფ. 26 მაისი საზანოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 302,4 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 670.0 ათასი ლარი.

მიზანი: მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა გზების, ქუჩების, სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლების, ბოგირების, ხიდების რეაბილიტაცია, გზების ორმული დამუშავება. მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა.

1.2 წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

აღწერა: ქალაქ თერჯოლის გარდა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ

ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- საჭიროების შესაბამისად, წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება სოფ.ძვერში კალატოზები ვერულაშვილების უბანში წყლის სისტემის მოწყობა 163.4 ათასი ლარით.

მიზანი: წყლის სისტემის აღდგენა შეკეთება, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად.

1.3 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03)

აღწერა: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში, სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. თერჯოლაში და 18 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 50%. გარე განათების სისტემა მოიცავს 5251-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 5300 ზე მეტ სანათ წერტილს, 65700 გრძივ მეტრზე მეტ, სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 450.0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.

გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის, როგორც კაპიტალური /ინფრასტრუქტურული/ ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).

ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.

2024 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია, მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.

მიზანი: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს, ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.

1.4 კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები 169,9 ათასი ლარით და ქ.თერჯოლაში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია 295,4 ათასი ლარით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის N1840 განკარგულებით დაფინანსდება ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი 138,5 ათასი ლარით (თერჯოლაში ყოფილი კინოთეატრის დემონტაჟი).

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსება, ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძვერში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 94,1 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 970.0 ათასი ლარი, რომლიდანაც მიმდინარე წელს დაიხარჯება 294,5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 435.0 ათასი ლარი.

მიზანი: მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)

აღწერა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის: ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა, და ა.შ გაწმენდებით, წყაროების მოპირკეთება, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები; გზისპირა მოსაცდელეები, ცხაურები, ხიდები, ხიდბოგირები, გადასასვლელები, გარე განათება; სკოლების მიმდინარე ტერიტორიების კეთილმოწყობა; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; მინი ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულებით გამოყოფილი დაფინანსება 690.0 ათასი ლარი.

მიზანი: გზების კაპიტალური შეკეთება, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

1.6 საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

აღწერა: საამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

მიზანი: ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 01)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3660.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3660,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	3660,0

2.1 დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01)

აღწერა: ქუჩების, მოედნების, სკვერების, შენობების საზოგადოებრივი ადგილების დაგვა- დასუფთავება, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუვნებელოფა - განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების და პარკების მოვლა-პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება.სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, შეკეთების და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა,საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ბოგირების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა.წყლის მომარაგების/ ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულებით გამოყოფილია დაფინანსება 160.0 ათასი ლარი.

მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასუფთავებული ტერიტორია, მუნიციპალიტეტის იერ- სახის გაუმჯობესება, გარე განათების გამართული ქსელი.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7338.8 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
04 00	განათლება	7338,8
04 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	5345,0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	165,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	5180,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	10,0
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1603,8
04 04	სკოლისგარეშე განათლება	380,0

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღებისგამართული ფუნქციონირება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01 01)

აღწერა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

მიზანია: თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები საადმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: საადმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; საადმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმზრდელო ცენტრში დასაქმებული

ადმინისტრაციული და საადმინისტრაციო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.

3.2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტში სულ 1500 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 1300 ბავშვის სწავლება, ხოლო 200 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“, მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბაგა-ბაღს; სადაც ფუნქციონირებს 54 საადმინისტრაციო ჯგუფი, 500 თანამშრომლით. მათ შორის: 93 აღმზრდელია და 92 აღმზრდელის თანაშემწე. საადმინისტრაციო პროცესს გადის 969 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელი, აქედან გოგო -455 და ბიჭი -514.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად 2024 წლისათვის იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში დახვეწილი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა-დახვეწას: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, მენობა, ინვენტარი და სხვა) მოწესრიგება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

მიზანია: ჰარმონიულად განვითარებული და დაწყებითი საფეხურის პირველი კლასისათვის მომზადებული ბავშვები.

3.3 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ახალი ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

მიზანია: რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

3.4. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03)

აღწერა: ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

მიზანია: პროგრამის განხორციელების მიზანია სკოლის მოსწავლეების დროული და უსაფრთხო გადაადგილება.

3.5 სკოლისგარეშე განათლება (პროგრამული კოდი 04 04)

აღწერა: ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, არის არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომლის ფუნდამენტური პრინციპია ნებაყოფლობითობა და ხელმისაწვდომობა, რაც სათანადო პირობების შესაბამისი სტრატეგიული, პერსპექტიული გეგმებით, პროგრამებით და ქვეპროგრამებით ხორციელდება, პროგრამული ბიუჯეტიდან გამომდინარე 2023-24 სასწავლო წელს „ცენტრში“

მუშაობდა 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებული იყო 26 კლუბი და წრე . სასწავლო წლის პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმილი და ორიენტირებული იყო „ცენტრში“ მოსწავლეთა ჩართულობის 20 % ზრდასა და მუშაობის ხარისხის კოეფიციენტის ამაღლებაზე, რასაც „ცენტრში“ წარმატებით გაართვა თავი, მოსწავლეთა რაოდენობა-562, აქედან გოგო 329 და 233 ბიჭი. სასწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა 20%-ით. შეფასდა ხარისხის მაჩვენებელი, სასწავლო პროცესში შესაბამისი ინდიკატორებით ცალკეულ კლუბებსა და წრეებში, რაც აისახა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე „ცენტრის“ მუშაობის შეფასებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო,კოორდინატორთა, მენეჯერთა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშები, შეფასებები. მოსწავლეთა აქტიური, წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც. წლის განმავლობაში მოსწავლეთა ცენტრში დიპლომებით და სიგელებით 203, ხოლო ფასიანი საჩუქრებით (წიგნები) დაჯილდოვდა 50 მოსწავლე.

მიზანი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა , მოსწავლეთათვის საინტერესო, სასწავლო-შემეცნებითი და გასართობი ატმოსფეროს შექმნა, პროგრამების, აქტივობების, ღონისძიებების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, მათი უნარების, შემოქმედებითი ნიჭის, პოტენციალის რეალიზებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, ინციატივების, წამოწყებების მხარდაჭერა. საბაზისო ცოდნის მიწოდება და საზოგადოებაში ინტეგრირების , ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2590.0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2590.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	890.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	40.0
05 01 02	სპორტული სკოლა	900.0
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1445.0
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	290.0
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	300.0
05 02 03	ბიბლიოთეკები	235.0
05 02 04	კულტურის სახლები	520.0
05 02 05	მუზეუმები	100.0

05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	50.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80.0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	75.0

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. სხვადასხვა ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართვა.

